“დინამო” ფორმაში შედის!

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 27 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) _ “ლოკომოტივი” (მოსკოვი) 2:0 (0:0).

“დინამო”: ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, დათუნაშვილი, ბარქაია, იამანიძე, მესხი.

“ლოკომოტივი”: პოლიაკოვი, ზაიცევი, ხორლინი, კოჩეტოვი, როდიონოვი, სოკოლუხინი, კოროტკოვი, პრუდნიკოვი, გორშკოვი, გერშკოვიჩი, ორეშნიკოვი (ზადიკაშვილი).

მსაჯი ნ. კირსანოვი (კიევი).

დუბლიორები _ 2:1 “ლოკომოტივის” სასარგებლოდ.

მოსკოვის “ლოკომოტივი” წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთ გამოცანას წარმოადგენს. მართალია, ამ გუნდს არც შარშან მოუწყვეტია ციდან ვარსკვლავები, მაგრამ ახლა, როცა იგი კარგა ხანია აბსოლუტური აუტსაიდერის როლში გამოდის, საქმე საგანგაშოდ გაუხდა. რკინიგზელებს საგანგებო ზომების მიღება მართებთ, რათა თავი დააღწიონ კატასტროფას და, კაცმა რომ თქვას, ამ ზომებს კოლექტივში უკვე მიმართავენ: შეიცვალა უფროსი მწვრთნელი (კ. Bბესკოვის ნაცვლად ვ. ბუბუკინია), ნაწილობრივ გადახალისდა ძირითადი შემადგენლობაც.

თუ გუშინდელი მატჩის მიხედვით ვიმსჯელებთ, “ლოკომოტივს” არ უნდა ჰქონდეს ასე ხელიდან წასული მდგომარეობა. სადავო არაა, რომ თბილისელებს ორივე ტაიმში სრული და განუყოფელი უპირატესობა ჰქონდათ, რომ მოსკოველებმა გაჭირვებით შეინარჩუნეს ანგარიში 0:2, მაგრამ არც ეს უპირატესობა, არც გამარჯვება თბილისელებს იოლად არ მოუპოვებიათ. საჭირო შეიქნა მთელი ძალების დაძაბვა, რათა აუტსაიდერს ჩვენს სტადიონზე დაეტოვებინა მორიგი 2 ქულა. გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს ის ძალზე სახიფათო მომენტები, რომლებიც “დინამოს” კართან შექმნა ახალგაზრდა გერშკოვიჩმა და ურუშაძე რომ არა, ერთ-ერთი მათგანი მაინც შეიძლებოდა გოლით დამთავრებულიყო.

თბილისელები ფორმაში შედიან. ეს ცხადია. მესხი ძველებურად მესხობს, იამანიძე კვლავ შემტევ ბირთვს ქმნის ცენტრში, დათუნაშვილი ისევ თავის ამპლუაშია და, რაც ძალზე სასიამოვნოა, თავისი ნამდვილი თამაშით იწყებს თამაშს ბარქაია.

მესხი პირდაპირ პრობლემად იქცა მოსკოველთათვის. მის სანეიტრალიზაციოდ ზაიცევს სისტემატურად ეხმარებოდა ხორლინი, ამ სტოპერის ზონის შესავსებად იძულებული იყო ღრმად დაეხია სოკოლუხინს, ამის შედეგად კი მოსკოველებს დაუსუსტდათ მინდვრის შუაგული. ეს კარგად გამოიყენეს ხართიშვილმა და ილიადიმ, რომლებიც საპასუხო შეტევის რისკის გარეშე მონაწილეობდნენ მეტოქის კარის იერიშებში. კიდევ მეტიც: გოლის გატანის შესაძლებლობანი ჰქონდათ პეტრიაშვილსა და ცხოვრებოვს.

პირველი ტაიმი რომ უშედეგოდ დამთავრდა, დინამოელთა თავდამსხმელების ბრალია. მათ ერთობ ბევრი მომენტი დარჩათ გამოუყენებელი, მაგრამ შეუძლებელი იყო “ლოკომოტივს” მეორე ტაიმშიც ისევ იღბლიანად შეენახა თავი... პირველი გოლი 51-ე წუთზე გაიტანა ხართიშვილმა, ხოლო მეორე _ დათუნაშვილმა 70-ე წუთზე, როცა მან ეფექტურად მიიღო მესხის მიერ მოწოდებული ბურთი _ 2:0. დანარჩენი შესაძლებლობანი “ჩამოწერილ” იქნა და ტყუილ-უბრალოდ. დიდი ანგარიშით გამარჯვება ჩვენს გუნდს გარანტირებული ჰქონდა.

ამრიგად, გუშინდელი მატჩი საფუძვლებს გვაძლებს ვიფიქროთ, რომ გარდატეხა თბილისის “დინამოში” მოხდა. გუნდი შედის ფორმაში, შემადგენლობაც და თამაშიც სტაბილურია, ამიტომ იგი ცხრილის შუაგულიდან უნდა დაიძრას წინ _ ლიდერებისკენ.

ბ. ქორქია.

“ლელო”, 28 ივნისი, 1966 წ.